# არა ფობიას!

MDF-ისა და GDI-ის ყოველკვირეული ბიულეტენი


## მონიტორინგის მიგნებები


# 6, 24-30 მარტი




24-30 მარტის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- კვირის მთავარი თემა - კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის განსაზღვრის შესახებ პრემიერ-მინისტრის ინიციატივა - უფლებრივი კუთხით, ყველაზე კვალიფიციურად ინტერნეტ-პორტალმა "ნეტგაზეთმა" გააშუქა;
- შუღლის გაღვივების მცდელობას "საქინფორმის", "ასავალ-დასავალის", "ევრაზიის ინსტიტუტისა" და "ობიექტივის" ერთობლივ მიმართვაში ჰქონდა ადგილი;
- სიძულვილის ენას უცხოელი ინვესტორის - ფადი ასლის, როგორც საიდანღაც ჩამოსულის", "ურჯულოს" მიმართ პარლამენტის წევრის (გოგი თოფაძე, ქართლი ოცნება) მხრიდან ჰქონდა ადგილი; სასულიერო პირის (ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი) მიერ სიძულვილის ენა ლგბტ ჯგუფების მიმართ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო აქციის კონტექსტში იყო გამოყენებული; ხოლო მაყურებლის შემთხვევაში - თურქეთს, ირანს, ჩრდილო კავკასიელ ხალხებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უკავშირდებოდა, რაც გადაცემის წამყვანმაც ("ობიექტივი") გაიზიარა;
- ზურაბ ქარუმიძის ლიტერატურული ნაწარმოების „მელია-ტულეფია: Fox-Trot"-თან დაკავშირებით გაზეთმა "ასავალ-დასავალმა" რამდენიმე პუბლიკაცია, ასევე პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის


გაგრძელება გვ. 2


## კვირის თემა – საკონსტიტუციო ცვლილებები

კვირის მთავარი თემა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა - საქართველოს კონსტიტუციაში შევიდეს ჩანაწერი, რომ "ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა" - მედიამ ვრცლად გააშუქა.

აღნიშნული თემა საზოგადოებრივი მაუწყებლის 8 საათიან "მოამბეში" (28 მარტი) საქართველოს შესახებ ევროკომისიის ანგარიშის და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების კონტექსტში იყო მოწოდებული, ხოლო ქრისტიან-დემოკრატთა წარმომადგენლის კომენტარში ეს ინიციატივა საფრთხეების პრევენციად იყო შეფასებული.



**გიორგი ახვლედიანი, ქრისტიან-დემოკრატები:** "ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუსვას წერტილი ყველანაირ საფრთხეებს, რომლებიც მისი ცხოვრების წესის შეცვლის პერსპეტივით შეიძლება იყოს განსაზღვრული."

http://1tv.ge/news-view/66298

**ინტერპრესნიუსი**, 28 მარტი

**ზაქარია ქუცნაშვილი, ქართული ოცნება:** "ვიღაცები ცდილობენ, რომ ქართულ საზოგადოებაში ანტიევროპული განწყობები წაახალისონ ერთსქესიანთა ქორწინების წინა პლანზე გამოტანით. ამ პროცესს არაკვალიფიციური მედია საშუალებები უწყობენ ხელს."


გაგრძელება გვ. 2


## შინაარსი



| | |
|---|---|
| შუღლის გაღვივება | 3 |
| სიძულვილის ენა | 3 |
| სპეკულაციები ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ | 4 |
| თურქოფობიის/ისლამოფობიის გაღვივება | 5 |
| ანტიდასავლური განწყობები | 6 |
| სპეკულაციები რელიგიურ თემებზე | 8 |
| სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია | 9 |
| 17 მაისი | 9 |
| სექსიზმი | 10 |






ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და GDI და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## მონიტორინგის მიგნებები

დასაწყისი გვ. 1

სახელზე, მისი ელჩად არდანიშვნის მოთხოვნით, კოლექტიური წერილი გამოაქვეყნა. ინტერვიუ პარლამენტარ სოსო ჯაჭვლიანთან შეურაცხმყოფელ ტერმინებს შეიცავდა, ხოლო გაზეთის საავტორო მასალები, ასევე რესპონდენტთა კომენტარები როგორც სიძულვილის ენას, ასევე ძალადობისკენ მოწოდებას;

- სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებლებს შორის რუსული პასპორტების მასობრივად დარიგების შესახებ ინფორმაცია მედიაში (გაზეთი "ალია") საფრთხედ კვლავ ერთ წყაროზე დაყრდნობით იყო წარმოდგენილი და გადამოწმებული და ფაქტებით გამყარებული არ ყოფილა;

- ანტითურქული და ისლამოფობიური განწყობები ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების კუთხით იყო წარმოჩენილი (ალექსანდრე აბდალაძე, არმენოლოგი);

- ანტიდასავლური განწყობები ევროპაში მიგრაციის თემებს (ილია II, კათალიკოს-პატრიარქი; ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება), ევროინტეგრაციას და უფლებრივ საკითხებს (დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი; არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის რედაქტორი; გიორგი კოპალეიშვილი), იუგოსლავიის მოვლენების სუბიექტურ ინტერპრეტაციას (გეიდარ ჯემალი, ისლამისტთა კავშირის თავმჯდომარე რუსეთში, ობიექტივი, საქინფორმი), ასევე უკრაინის მოვლენებს (ავიგდორ ესკინი, პოლიტოლოგი) უკავშირდებოდა;

- რელიგიურ თემებზე სპეკულაციები საეკლესიო წირვების "დაგეგმილი" ჩაშლის შესახებ დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას (ირმა ინაშვილი, ობიექტივი), ასევე უცხოელ ინვესტორებს უკავშირდებოდა ("ალია", "ინტერპრესიუსი");

- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას პოლიტიკოსების (ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება; გიორგი ახვლედიანი, ქრისტიან-დემოკრატები) და სხვა რესპონდენტების მხრიდან ჰქონდა ადგილი;

- აღნიშნულ პერიოდში სექსისტურმა გამოხატვებმა როგორც მედიის (ასავალ-დასავალი, კვირის ქრონიკა), ასევე რესპონდენტების (თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი) მხრიდანაც იმატა.

## კვირის თემა – საკონსტიტუციო ცვლილებები

დასაწყისი გვ. 1

### ნეტგაზეთი, 28 და 29 მარტი

უფლებრივი კუთხით აღნიშნული თემა ინტერნეტ-პორტალმა ნეტგაზეთმა გააშუქა, სადაც საკონსტიტუციო ინიციატივის დისკრიმინაციული ხასიათი ვრცლად და კვალიფიციურად იყო განხილული:

> **თამთა მიქელაძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი:** "კონსტიტუციური წესრიგი, პრინციპში, დღეს უშვებს ერთსქესიან წყვილთა პარტნიორობას და ქორწინებასაც. დღეს ამ განმარტების ჩაწერა კონსტიტუციაში პირდაპირი აკრძალვაა ერთსქესიანი წყვილებისთვის საოჯახო, მემკვიდრეობითი და სხვა ტიპის უფლებების მოპოვებისთვის"
> http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29772/

**ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი:** "ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ჰომოფობიურად შეიძლება ჩაითვალოს."

## შუღლის გაღვივება

### საქინფორმი, 26 მარტი

**“საქინფორმი”, “ასავალ-დასავალი”, “ევრაზიის ინსტიტუტი”, “ობიექტივი” - საქართველოში მკვლელობების სერია მზადდება, სიები უკვე შედგენილია!**




"უკვე შედგენილია ჟურნალისტების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების - თავიანთი პრინციპული, მართალი პოზიციის გამო საზოგადოებაში პატივცემული გავლენიანი ადამიანების სია, რომლებსაც უნარი შესწევთ, ხალხს წინ გაუძღვნენ და რომლებსაც პირველ რიგში გაანადგურებენ. სხვაგვარად მოაზროვნეებთან ანგარიშის გასასწორებლად სააკაშვილის დაბრუნების წინ, რაც მან კიდევ ერთხელ დააანონსა გუშინ, თავის ამაზრზენ ტელეკომპანია “რუსთავი 2”-თან ინტერვიუში, ამ ადამიანებს დახოცავენ - ზოგს საკუთარ სახლებში, სხვებს ქუჩაში ზურგში ესვრიან, დანარჩენები ავტოკატასტროფებში ან ვერაგულად დანით დაჭრილები დაიღუპებიან, ანდა მათ ბრბო ჩაქოლავს. შედეგად ქვეყანაში მასობრივი სისხლიანი შეტაკებები დაიწყება, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში არ მიიღებენ, ის ახალ ტერიტორიებს დაკარგავს - სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, აჭარას და სამეგრელოს." http://newsinfo22.blogspot.com/2014/03/blog-post_1273.html

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი

**ნოდარ ურუშაძე, ექიმი:** "პატიმრებს იყენებდნენ, როგორც საცდელ ცხოველებს, „დოტსის პროგრამად“ ცნობილი სანდრას პატრონატით არსებული ტუბერკულოზის მაფია ხელოვნურად აავადებდა ტუბერკულოზის რთული MDR და XDR ფორმებით, უნიკალური წამლების დასამზადებლად იყენებდნენ ამოჭრილ საშვილოსნოებს და ტვინიდან ამოცლილ ჰიპოფიზს... სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი, რომელიც ნულოვანი ტოლერანტობის საფუძველზე ციხეებში უდანაშაულოდ შეყრილ ადამიანებს არაფრად აგდებდა და მათი შინაგანი ორგანოებით სასჯელაღსრულების კატებს კვებავდა, აუცილებლად ითანამშრომლებდა ტრანსპლანტაციის მაფიასთან."

## სიძულვილის ენა

### კავკასია, სპექტრი, 17 მარტი



**გოგი თოფაძე, ქართული ოცნება:** "აი, ვიღაც ბატონი ფადი ასლი რომ არის, ვიღაც საიდანღაც ჩამოსული... ბანანების ქვეყანა გაგვხადა. ბანანები შემოქონდა, ის ბარკლები შემოქონდა და აქ გამდიდრდა, და კიდე გვასწავლის, თურმე დღეს ახალი ხელისუფლება ბიზნესმენებს დასდევს. შენ, რო არ დაგსვეს ბოთლზე, მაშინ იყავი ღირსი და მაშინ ამდენს არ იქაქანებდი, კაცო... მაშინ ამოეღო ამ ურჯულოს ხმა კაცო."
http://www.myvideo.ge/?video_id=2294841
http://www.myvideo.ge/?video_id=2294839

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 მარტი

**მსმენელი [სატელეფონო ჩართვა]:** " მას [მაყურებელს] არ ეშინია, რომ თურქეთი და ირანი გადაყლაპავს საქართველოს, ჩვენი დაუძინებელი მტერი? და რომ რუსეთი არა, ჩვენ ეხლა მუსულმანები ვიქებოდით და არც ტრადიციები გვექნებოდა და არც მართლმადიდებლობა... არც ჩრდილო კავკასიას არ ეშინია, ჩვენი დაუძინებელი მტრები რომ არიან?! .. აზერბაიჯანიც ჩვენი მტერია და სომხებიც.

**ვალერი კვარაცხელია, წამყვანი:** გასაგებია თქვენი პოზიცია... და მე ვიტყოდი მასში არის ჭეშმარიტების საკმაოდ დიდი დოზა.”
http://www.myvideo.ge/?video_id=2296170

## სიძულვილის ენა



GEWORLD.GE, 26 მარტი

**ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი:** „თუ 17 მაისს ვინმემ გაბედა აქციის ჩატარება, შესაძლოა, ეკლესიამ ვეღარ შეასრულოს მშვიდობისმყოფელის ფუნქცია და ეს ხალხი ვეღარ შეაკავოს... როდესაც საქართველოს სჭირდებოდა, ეკლესია აკურთხებდა მებრძოლებს, ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეები რომ დაეხოცათ და ქართველი ხალხი და ეკლესია გადაერჩინათ. ამ შემთხვევაში კი მომაკვდინებელ ცოდვაზეა საუბარი. ძნელია, რომ სისხლითაც ჩამოირეცხო, სოდომისტური, გარყვნილი პროპაგანდისტული აზროვნება და ცხოვრების წესი... იოანე ოქროპირი ამბობს: შენ თუ ნახე მგმობარი, მოედანზე გამოსული, მიდი და შეაგონე, მაგრამ, თუ ვერ გაიგო, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო... ჰომოსექსუალიზმიც სატანიზმის ერთ-ერთი ელემენტია.“

http://geworld.ge/View.php?ArtId=5758

## სპეკულაციები ლიტერატურულ ნაწარმოებზე

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** "არმენოლოგმა კი მიპასუხა - დიდი ალბათობით, ეს ზურაბ ქარუმიძეც გვარგადაკეთებული სომეხიაო! მისი თქმით, „ქარ“ - სომხურად „ქვას“ ნიშნავს, ხოლო სომხებს დღესაც აქვთ გვარი - ქარიმიანი, რომელიც მაჰმადიანური სახელიდან _ „ქარიმიდან“ არის წარმოქმნილი!.. ადვილი შესაძლებელია, „ქარიმიანი“ ოდნავი სახეცვლილებით გამხდარიყო „ქარუმიანი - ქარუმიძე“! და თან დაამატა, ისევე როგორც ტერ-სააკიანცი გახდა სააკაშვილიო!..

და ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ეს არარაობა მართლა გვარგადაკეთებული სომეხია (სომხებში არსებობს ასეთი გვარი - ქარიმიანი!) თუ ქართველთა სიაში ჩაწერილი ავაზაკი... ჩარკვიანებმა, კაკრიაშვილებმა და მათმა თანასოფლელებმა ჩემდამი თბილი სიტყვები არ დაიშურეს ამ ქართველმოძულე ქარუმიძის ბილწი შიგთავსის გამომზეურებისათვის!"

**ეთერ ჭელიძე, ჟურნალისტი:** "რაც შეეხება სვანურ საგალობელ „ფერხულში“ ჩაზმული ყველა სვანის მიერ შემოთავაზებულ წიხლს, გპირდებით, თქვენი არღირებული სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს მოგაკლდებათ, ამას ქართული სიწმინდეების მადლი შემლებს."

**აკაკი გასვიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატი:** "მე ალბათ, ყველაზე მშვიდობიანი სვანი ვარ, მაგრამ, რაც ასავალ -დასავალში“ წავიკითხე ამ ქარუმიძის ავადმყოფური ბოდვა, მას შემდეგ მუშტები მექავება!"

## სპეკულაციები რუსული პასპორტების თემაზე

გაზეთმა "ალიამ" ორი მასალა მიუძღვნა სამცხე-ჯავახეთის და რუსეთის პასპორტების დარიგების თემას საფრთხის კონტექსტში. ერთ შემთხვევაში (27 მარტი) წყარო პარლამენტის ყოფილი წევრი კონსტანტინე გამსახურდია იყო, რომელიც აცხადებდა, რომ "თბილისში რუსეთის საელჩოსთან, უფრო ზუსტად ფუნქციონირებად საკონსულოსთან, დგას ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების რიგები. მათ ურიგებენ რუსეთის ფედერაციის პასპორტებს. ქართული სახელმწიფო 1993 წლის შემდეგ არ მდგარა ასეთი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს."

აღსანიშნავია, რომ ამ თემის გაშუქებისას, არც ერთ მედია საშუალებას ადგილზე არ გადაუმოწმებია ინფორმაცია და არც სტატისტიკური მონაცემი მოუყვანია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო ამ თვალსაზრისით წინა წლებში, რაც ვითარების ხელოვნურად დრამატიზებას და ამ პროცესის ეთნიკურ სომხებთან დაკავშირებას უწყობს ხელს. მეორე მასალაში (25 მარტი) ეს თემა მრავალეროვანი საქართველოს ხელმძღვანელმა არნოლდ სტეპანიანმა განმარტა, კერძოდ, რომ პასპორტების აღების პროცესს წინა წლებშიც ჰქონდა ადგილი და არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრებს შორის, რაც ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული.

## ანტითურქული განწყობების გაღვივება

### კვირის ქრონიკა, 24-30 მარტი

**გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:** „ამ შემთხვევაში ფამუქი იმაზე წუხს, რომ საქართველო-დან ჩათრეულები თურქებს ართმევენ სამუშაო ადგილებს და საჭიროა, ისინი ყარსშივე მოსპოს სამ-ხედრო ხელისუფლებამ. დამეთანხმებით, ნობელის პრემიის ლაურეატი პირდაპირ მოუწოდებს სამხედროებს, ყარსშივე გაანადგურონ და არ შეუშვან მის ქვეყანაში. იგივე ლოგიკით, ჩვენც შეგვიძლია მოვითხოვოთ აჭარაში შემოსული თურქების გაძევება და მოსპობა, მაგრამ ქართველები ხომ ცოტა წავუდებილებთ?"

**გელა ზედელაშვი-ლი, ჟურნალისტი:**
*"ნობელის პრემიის ლაურეატი პირდაპირ მოუწოდებს სამხედროებს, ყარსშივე გაანადგურონ და არ შეუშვან მის ქვეყანაში. იგივე ლოგიკით, ჩვენც შეგვიძლია მოვითხოვოთ აჭარაში შემოსული თურქების გაძევება და მოსპობა, მაგრამ ქართველები ხომ ცოტა წავუდებილებთ?"*

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** "მაგალითად, 30% ჩვენი ტერიტორიის 95 თუ 96 წელია, რაც ოკუპირებულია თურქეთის მიერ და მიკვირს რატომ არავინ არ მიდის თურქულ ორგანიზაციებში და ეგეთები იმდენია საქართველოში, რომ ვერც კი დათვლი... ჩვენი ტერიტორია რუსეთსაც აქვს წართმეული, თურქეთსაც აქვს წართმეული".

http://www.myvideo.ge/?video_id=2293431
http://www.myvideo.ge/?video_id=2293441

### კვირის ქრონიკა, 24-30 მარტი

**ინკოგნიტო რესპონდენტი:** „მშენებლობაზე, ძირითადად, თურქი მუშები მუშაობენო, რომ ქართველებს გროშებს აძლევენ... „თავის ხალხს უვლიან, ჩვენ გვჩაგრავენ“.

### GEWORLD.GE, 28 მარტი

**ლევან ჩაგანავა:** “მოკლედ, «დაფნაში» ქართველები მონებად ვყავდით თურქებს!”
http://geworld.ge/View.php?ArtId=5763

## თურქოფობიის/ისლამოფობიის გაღვივება ევროატლანტიკური ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ

### GEWORLD.GE , 26 მარტი

რესპონდენტი ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციას საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სამცხე-ჯავახეთში თურქეთის ჯარების განთავსებასთან და პრო-ცესების ესკალაციასთან აიგივებს.

**ალექსანდრე აბდალაძე, არმენოლოგი:** “... თურქეთის ჯარები აქ თავისთავად გამოიწვევს სერიოზულ პროცესებს ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. პირველ რიგში, ეს ნიშნავს რელიგიურ ინტერვენციას და წინააღმდეგობას, რადგან არსებობს დღეს იმის რეალური საფრთხე, რომ ისლამური წრეები საქართველოში გააძლიერებენ მაჰმადია-ნობას. არაფერს ვამბობ ისტორიულ მტრო-ბაზე, რაც დღემდე მოუშუშებელი ჭრი-ლობებია ჩვენი ქვეყნისთვის. ასე რომ, თუ კი ეს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ყველა-ფერთან ერთად თურქეთის სამხედ-რო ბაზად გადაქცევასაც გვიქადის, მეც, ისევე , როგორც ყველა საღად მოაზროვნე ქართ-ველი, ბუნებრივია, ყოველგვარი ინტეგრაციი ს წინააღმდეგი ვარ.”

http://geworld.ge/View.php?ArtId=5757

## ანტიდასავლური განწყობები

საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ქადაგების დროს გაკეთებული განცხადება, რომ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა გადაგვარების ტოლფასია გაზეთებმა "კვირის პალიტრამ" (17-23 მარტი) და "რეზონანსმა" (26 მარტი) გააშუქეს.

**ილია მეორე, კათალიკოს პატრიარქი:** "უცხოეთი კარგია, როცა ადამიანი სწავლობს, ცოდნას იღებს, მაგრამ საცხოვრებლად წასვლა ეს არის გადაგვარება ერისა და ამიტომ ძალიან საშიშია. რაც უნდა გაუჭირდეს ადამიანს, არ უნდა წავიდეს საზღვარგარეთ... არ უნდა დავხარბდეთ იმ ხელფასებსა და ფულს, რომელსაც იქ აძლევენ".

### რეზონანსი, 26 მარტი

**დავით ხომასურიძე, მოქალაქე:** "ასეთი გამყიდველი, ე.წ. გაევროპელებული ხალხი ჩვენს ქვეყანას აღარ სჭირდება. სწორედ მათი გადამკიდე ვიქეცით უმცირესობად."

### ნეტგაზეთი, 28 მარტი

**ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება:** "ლონდონში ინგლისელების ნაკლებობაა უკვე და მილევადში გადავიდნენ, ილევიან ნელ–ნელა და ახლა უკვე მაქსიმალურად ცდილობენ, იმიტომ, რომ გაივსო იქ ჩამოსულებით. ძირითადად, აფრო-ამერიკელებით, არაბული ქვეყნებიდან, თურქეთიდან და სხვა ხალხით. ადგილობრივები უმცირესობაში გადადიან და პანიკა ეწყებათ. ეს მარტო ბრიტანეთში არ ხდება... რადიკალიზმი სახეზეა. ეს ბრეივიკი ჯანდაბა და ავადმყოფობა კი არის, მაგრამ რატომ გახდა ის ავადმყოფი? რაღაც ბაცილები არსებობს და ამას ხედავ. ლონდონშიც რომ ჩავედით, იქაც მოხდა, ხალხი დახოცა ვიღაცამ ქუჩაში, მერე მისი ლიკვიდაციაც მოხდა. ამ მხრივ არეულობაა."

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** "ჩვენ უნდა მოვითხოვოთ რომ ჩაწერე [ასოცირების ხელშეკრულებაში] არავითარი რეგიონალური სტრატუსი სომხურ ენას, აზერბაიჯანულ ენას... ჩვენ უნდა დავწეროთ, არავითარი თურქი მესხები, გარდა ქართველებისა. ვინც ეთნიკურად ქართველია კი ბატონო, ვინც არა, ნახვამდის... არავითარი ერთსქესიანთა ქორწინებები... მე ვიძახდი, არ გვინდა ერსქესიანი ქორწინება და ჰომოფობი ხარო და ფულემ თქვა, არ გინდათო და ის არ არის ჰომოფობი?"
http://www.myvideo.ge/?video_id=2293418
http://www.myvideo.ge/?video_id=2293441

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 მარტი

**არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის რედაქტორი:** "ევროკავშირი ამბობს: შენი ყურძენი არ მჭირდება, გაჩეხე ის. იქ მჭირდება, რომ დაუშვათ სოიო, ან საერთოდ არაფერი, ან კომპენსაციას მოგცემ, როგორც მისცეს საბერძეთში 1500 ევრო. არ მჭირდება, იმიტომ, რომ კონკურენციას მიქმნის".
http://www.myvideo.ge/?video_id=2296196

### GEWORLD.GE, 26 მარტი

**გიორგი კოპალეიშვილი, ავტორი:** "ქვეყანა [ამერიკა], რომელიც სხვა სახელმწიფოთა ოკუპირებისთვის წელიწადში ორას მილიარდს ხარჯავს, ქვეყანა, რომლის სკოლებშიც ბანდიტიზმი ყვავის, სადაც ბავშვები იარაღით, დანებითა თუ ნარკოტიკებით დადის. ქვეყანა, რომლის ბევრ შტატშიც ერთსქესიანთა ქორწინებაა დაკანონებული...

რა მინდა იმ ევროპასთან რომელთა ქვეყნების: გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვათა, პირველი პირები გეებია და თანაც ამით ამაყობენ კიდეც. .... მე, როგორც ქართველსა და მართლმადიდებელ ქრისტიანს არ მსურს ასეთ ქვეყნებთან ჩემი სამშობლოს მეგობრობა."
http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=9693

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 მარტი

**მსმენელი:** "დღეს მსოფლიო რასაც ჩადის კაცობრიობის წინაშე, ამას ჰიტლერი არ ჩაიდენდა... ერთ მაგალითს გეტყვით; რამოდენიმე ღირებულების, მილიარდი ღირებულების, ასეული ღირებულების ნარკოტიკებს კაცობრიობას არ დაურიგებდა და გეიპარადს არ მოაწყობდა და დანარჩენ უზნეობაზე თქვენ ჩემზე უფრო კარგად მოგეხსენებათ."

http://www.myvideo.ge/?video_id=2296201

გაგრძელება გვ. 7

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 7

### GEWORLD.GE, 26 მარტი

**ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი:** „როგორც ვიცი, ახლახან აშშ-ში ციფრული საქართველოს პროექტს მოეწერა ხელი და ეს ხელშეკრულება თუ გულისხმობს, ელექტრონული ანგელოზის, Digital Angel-ის დანერგვას საქართველოში, მაშინ არ მინდა ასეთი ასოცირება. თუ ეს გულისხმობს ერთსქესიანთა ქორწინებას, არ მინდა ისეთი ასოცირება, რომელიც ჩემს ტრადიციულ იდენტობას ხელყოფს?!“

http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=9693

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 მარტი

**ავიგდორ ესკინი, პოლიტოლოგი:** "ამერიკა იცავს ისლამისტ ტერორისტებს... რაც ამერიკამ ახლა გააკეთა უკრაინაში, ამისი მათ შერცხვებათ, მაგრამ მათ არ უნდათ ამისი ჩვენება... დასავლეთის სამყარო, რომელიც ახლა უმძიმეს კრიზისშია შობადობის არარსებობასთან დაკავშირებით, ჰომოსექსუალური კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით, ეს დანერგვა, რაც სხვათა შორის უკვე არა მხოლოდ აღიარებაა, ერთსქესიანი ქორწინებებისა, რომელიც დამთავრდება იმით, რომ მათ შეიძლება აღიარონ ქორწინება ცხოველებთან, ან ორი კაცი და თხა, ექნებათ მათ ასევე ოჯახი, წარმოიდგინეთ იქ, რომელიღაც მღვდელი დაქორწინებს მათ, ჰო? თხასთან ერთად - ორი კაცი და თხა! "

http://www.myvideo.ge/?video_id=2294221

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 მარტი

**ვალერი კვარაცხელია წამყვანი:** "აი, ხვალ სრულდება 15 წელი რაც იოგოსლავიას, განვითარებულ ევროპულ ქვეყანას თავს დაესხა ნატო და კი არ დაანგრია, საერთოდ გაანადგურა ეს ქვეყანა.

**გეიდარ ჯემალი, ისლამისტთა კავშირის თავმჯდომარე რუსეთში:** ... "იუგოსლავიაზე დარტყმა იყო ნატოს მექანიზმების ამუშავება და კიდევ დასტური ამერიკის ბატონობისა ევროპაზე... ეს იყო ბარბაროსული ომის ხერხები, რომლითაც ამერიკა გამოირჩეოდა ჯერ კიდევ მე-2 მსოფლიო ომში. როდესაც მათ გადაუარეს ევროპულ მშვიდობიან ქალაქებს, დრეზდენის მზგავსი, სადაც უფრო მეტი ხალხი დაიღუპა, ვიდრე ჰიროსიმასა და ნაგასაკში."

http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=16273

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** "უკრაინაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 5 მილიარდი ოფიციალური სახელმწიფო დეპარტამენტის ფული დახარჯა ამათ გაზრდაში... ეს ყველაფერი არის მომზადებული ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის ბანაკებში, საწვრთნელ ბანაკებში. ამ ბანაკებს, სხვათაშორის, ჩვენი ნაციონალებიც ხშირად სტუმრობდნენ და გადიოდნენ იქ ტრეინინგებს ხომ ? გარდა ამისა, აი, ეს ყმაწვილები, ვინც დღეს უკრაინაში ყოყლოჩინობენ, ესენი არიან ფაშისტები."

http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=16274

### საქინფორმი, 24 მარტი

"ამ ფილმის [იუგოსლავიის მოვლენების შესახებ] მიზანია, საზოგადოებას შეახსენოს და ნაწილობრივ გააცნოს ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან არა მხოლოდ იუგოსლავიის სახელმწიფოს, არამედ მართლმადიდებლური ცივილიზაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან...კოსოვოში გაანადგურეს მრავალი სერბული ტაძარი და მონასტერი, ამიტომ აქცია ჩაივლის ლოზუნგით - "სერბეთის სიწმინდეები - ჩვენი სიწმინდეებიცაა!"

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18254:2014-03-24-08-51-25&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz2wshlpF67

### კავკასია, სპექტრი, 24 მარტი

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი:** "რაში უნდა ქართველს რუსეთი, აგერ ტანკი უდგას ყურის ძირში? მაგრამ არც უჭკუო ამერიკა არ უნდა, იმიტომ რომ ამერიკის შეცდომებს, მერე ჩვენ ვზღავთ ჩვენი კისრით."

http://www.myvideo.ge/?video_id=2291655

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი

**გიორგი კერვალიშვილი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი:** "ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით, ერს საბჭოთა იმპერიიდან იმ მიზნით არ დაუღწევია თავი, რომ სხვას, მასონურ იმპერიას დაემონოს!"

## სპეკულაციები უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 მარტი

**ავიგდორ ესკინი, პოლიტოლოგი:** "თუ ხალხი ყვირის მაგალითად, რომ ჰიტლერი არის ხალხის გმირი, მე ამის მერე უკვე აღარ მჭირდება იმის გარკვევა, ისინი იქ ანტისემიტები არიან თუ არა. ისინი არიან ნაცისტები და ნიურბერგის პროცესის განაჩენი... სხვათა შორის, შუხევიჩი კარიერის დასასრულს უკვე ოფიციალურად იყო „ეს ეს"-ში. ანუ თუ მათი გმირები არიან მებრძოლები - ბანდერა და შუხევიჩი, რომელთაც მოაწყვეს ებრაელთა დარბევა მაშინ, როცა შევიდნენ ლვოვში, რომელიც გერმანელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული. თუ ესენი არიან ის პირები, ვინც ცოცხლად დაწვეს ხატინის მცხოვრებლები თუ მოაწყვეს პოლონელ-ების ჟლეტა ავალინში, თუ ესენი არიან ის პირები, ვინც ჩაიდინა „ბაბი იარის" ტრაგედია".

## სპეკულაციები რელიგიურ თემებზე

### ალია, 27 მარტი

**ირმა ინაშვილი, ობიეტივის დამფუძნებელი:** "თქვენ იცით, რომ ამ 10 წლის მანძილზე ყოველთვის იყო ეკლესიასთან დაპირისპირება, მაგრამ ეს ახლა უკვე მიიღებს ძალიან აგრესიულ ხასიათს. შერჩეული იქნებიან კონკრეტული მეუფეები, რომელთაც დისკრედიტაციაც მოხდება, მათ მიაკერებენ სხვადასხვა სახის იარლიყს და ამით შეეცდებიან, მრევლთანაც დაძაბონ სიტუაცია. სიტუაცია. ერთ-ერთი ჩემი წყაროს ინფორმაციით, ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ მათ განზრახული აქვთ, მოაწყონ არც მეტი არც ნაკლები წირვების ჩაშლა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მძიმე მარხვაა, მაგრამ ისინი ამასაც კი ფიქრობენ.

**თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი:** ...ამ ხალხს არ ეშინია, რომ მსგავსი ქმედებებისთვის მრევლი მათ „გადაუვლის"?

**ირმა ინაშვილი :** ფიქრობენ, რომ მრევლში ჩააყენონ მათივე აქტივისტები, ვითომ ისინიც მრევლის წევრები არიან, რომლებიც შიგნიდანაც შექმნიან დაძაბულობას"...

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 მარტი

**მსმენელი [სატელეფონო ჩართვა]:** "პარტია [ნაციონალური მოძრაობა], რომელიც მოვიდა ეკლესიების დანგრევით და წავიდა გეი პარადებით, როგორც კომპარტიას დაესვა წერტილი, მათაც უნდა დაესვათ ასე წერტილი."

http://www.myvideo.ge/?video_id=2296231

### ალია, 28-31 მარტი

**ებრაელმა ინვესტორმა კედლიდან პატრიარქის ფოტო ჩამოხია**

(ნიუპოსტი) "გორში ბაზრის მოვაჭრეებსა და ებრაელ ინვსტორს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. .. ებრაელმა ინვესტორმა კედელზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ფოტო შენიშნა და ჩამოხევა სცადა, რამაც ბაზრის მოვაჭრეების გაღიზიანება გამოიწვია და შეხვედრა ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა... ბოლოს, როდესაც უცხოელი მიხვდა, რომ ვერაფერს გადებოდა, ბოდიში მოიხადა და სურათს აკოცა კიდეც."

### ინტერპრესნიუსი, 27 მარტი

გორის ბაზრის მოვაჭრეების მიერ გავრცელებული ინფორმაცია არაბი ინვესტორის ახლობლის მიერ ბაზრის ადმინისტრაციულ შენობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სურათის ჩამოხსნის მცდელობის შესახებ ინტერპრესნიუსმაც გააშუქა.

"პატრიარქის ფოტოსურათი კვლავ რჩება ამ ადმინისტრაციულ შენობაში", - აღნიშნულია ინტერპრესნიუსის ინფორმაციაში.
http://www.interpressnews.ge/ge/regioni/275647-goris-bazris-movatcreebis-informaciith-arabi-investoris-akhlobelma-patriarqis-surathis-chamokhsna-scada.html?ar=A

### GEWORLD.GE, 26 მარტი

**გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი:** "სწორედ ეს სამეგობრო [პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის] აკეთებდა ყველაფერს იმისთვის, რათა ამოეძირკვათ მართლმადიდებლური კულტურის კვალიც კი ქართული ცნობიერებიდან."

http://geworld.ge/View.php?ArtId=5751

# სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

### ნეტგაზეთი, 28 მარტი

**ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება:** "თუ ევროპაში კანონის დონეზე რაღაც დაშვებულია, ეს მათი საქმეა, მაგრამ ჩვენთან გამორიცხულია ერთმა ოთხმა თაობამ ეს გააკეთოს... პროპაგანდა არ იყოს და რაც უნდა, ის აკეთოს ყველამ. პარადები და რაღაცები არ არის საჭირო."
http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29743/

### მაესტრო, სუბიექტური აზრი, 28 მარტი

**გიორგი ახვლედიანი, ქრისტიან-დემოკრატები:** "გიორგის და ლევანის ქორწილში არასოდეს არ წავალთ!"
http://www.myvideo.ge/?video_id=2295612

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი და სააგენტო პირველი, 24 მარტი

**სალომე ბოგიაშვილი, ტელეწამყვანი:** "არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დილის 9 საათზე ტელევიზიით მელაპარაკა იმ ჰომოსექსულ წყვილზე (იმ შემთხვევაში ელტონ ჯონისა და მის მეწყვილეზე), რომლებსაც სუროგატმა დედამ ბაშვი გაუჩინა და გაღიმებული სახით ამ ფაქტისთვის პროპაგადა გამეწია. ბიჭის დედა ვარ და სულაც არ მინდა, ჩემმა შვილმა სკოლაში წასვლის წინ ასეთ სიუჟეტებს უყუროს... დანაშაული არ ჩამიდენია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტელევიზიიდან გამათავისუფლეს იმის გამო, რომ პედერასტებს ბოდიში არ მოვუხადე... მირჩევნია, უმუშევარი ვიყო, ვიდრე პედერასტებს პროპაგანდა გავუკეთო, რომლებიც ჩასაფრებულები არიან, ოღონდ მათ საწინააღმდეგოდ რაღაც დაგცდეს და საჩივლელად გაიქცნენ."

http://pia.ge/show_news.php?id=8618&lang=geo

### კავკასია, 29 მარტი

**მაკა ნიკოლაიშვილი, აქციის მონაწილე:** „ამ ჰორმონდაუოკებელი ადამიანების აქ შეკრება, ნამდვილად სამარცხვინო ფაქტია, ჩვენ, მონათლული ქრისტიანი ადამიანები საქართველოს მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ჩვენ არ მივცემთ მათ უფლებას, ერთსქესიანთა ქორწინების, და ბოლო სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა ჩვენი შვილებისთვის არ გაწიონ პროპაგანდა“.

http://www.myvideo.ge/?video_id=2296419

### კვირის ქრონიკა, 24-30 მარტი

**გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:** ...'' რატომ მაინცდამაინც ისეთი ახალგაზრდა [გიორგი საბანაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქის" ყოფილი დირექტორი], რომელიც თანაუგრძნობს „ელგებეტეებს“ და მსგავს ელემენტებს?“



**ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება:**
*"პროპაგანდა არ იყოს და რაც უნდა, ის აკეთოს ყველამ. პარადები და რაღაცები არ არის საჭირო."*

## 17 მაისი

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი

**ლევან ჩაჩუა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი** (2010 წელს დაკავებული იყო ტელეკომპანია "კავკასიაში" მომხდარი ძალადობრივი ინციდენტის გამო): "ფრანსუა ოლანდი კი არა, გაეროსა და ნატო-ს გენერალური მდივნებიც რომ ჩამოვიდნენ, საქართველოში გეი-აღლუმი არ გაიმართება! ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს და ისე ნუ იზამენ, რომ ამ 17 მაისს შარშანდელზე ბევრად მეტი ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში!

ერთადერთი, რაც ქართველებს გვაქვს - ეს ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა-წყალია და მას არავის წავაბილწინებთ!"

გაგრძელება გვ. 10

## 17 მაისი

დასაწყისი გვ. 9

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** "ძალიან კარგი, თუ არ აპირებენ ["იდენტობის" განცხადების შესახებ, რომ 17 მაისს ორგანიზაცია ჰომოფიისა და ტრანსფობიის დღეს არ აღნიშნავს]... დემოკრატია, იმას კი არ ნიშნავს, რომ უმცირესობამ თავისი აზრი თავს მოახვიოს უმრავლესობას, არა, დემოკრატია არის უმრავლესობის მმართველობა უმცირესობის ყველა უფლების დაცვით... და უმცირესობის მიერ უმრავლესობისთვის საკუთარი ცხოვრების წესის თავზე მოხვევა, სრულიად სხვა რამეა."

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 მარტი

**ირინა სარიშვილი, პარტია იმედი:** "...მაგრამ თუ ნაცების ინტერესში და მასთან ერთად მათი დესანტის, რესპუბლიკელების ინტერესში შედის პროვოცირება რაიმე თემაზე, იქნება ეს რუსული თემა თუ იქნება ეს მამათმავლების თემა და დედათმავლების... ამიტომ მე ჯერჯერობით მაინც ვიხრები იმისკენ, რომ ამ აქციაზე [17 მაისის კონტრაქცია] მაინც... უარი არ უნდა ითქვას და თუ გადაგვივლიან, თუ ეს აქვთ დაგეგმილი, რომ გადაგვიარონ და ამით მოვიდნენ ნაცები ხელისუფლებაში ან ამით გაიყონ სხვანაირი განაწილებით, მეოცნებეებმა და ნაცებმა ადგილები, მაშინ ამ თემაზე გადაგვიარონ".

http://obieqtivi.net/tv1.php?id=16291

## სექსიზმი

### ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი

**ქეთევან ხამიცაშვილი, ჟურნალისტი:** "კრიმინალური თემების გარდა მაკა ჩაჩუას სახელთან ხშირად ახსენებენ იმ კადრებსაც, სადაც მან გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო მარათონის წინა წელს, პირველი ლედის მანტიის მორგებამდე, საკმაოდ უხერხულ სცენაში თორნიკე ბზიავასთან ერთად ითამაშა რუსუდან ჭყონიას ფილმში „გაიღიმეთ", ამასთანავე, საზოგადოებამ უარყოფითად შეაფასა იმავე ფილმში კადრებიდან მომღიმარი, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი და შესაფასებლად ჟიურის წინ ნახევრად შიშვლად მოსიარულე საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი ქალბატონი.

**თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** "როგორც ქალი გაბოზდება და მერე იმას ვერაფერი აკავებს, ზუსტად ეგრე იყო ჯაბაც!"

### კვირის ქრონიკა, 24-30 მარტი

**თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი:** „რაც „დეკლარაციიდან" გავიგეთ, ისაა, რომ ამერიკელი ცოლი ჰყავს, კაცის სახელითა და ქალის გამომეტყველებით"...

### ნეტგაზეთი, 27 მარტი

**აქციის მონაწილე:** "სად გიპოვათ ეს ცირკის ქალები... დაახრჩო უნდა ის ხუთი წიწილა...

**მელორ ვაჩნაძე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი:** "ავირჩიოთ გოგოები... ოქრო ხარ, ოქრო. წადი, კარგი საქმით დაკავდი, ბავშვები გააჩინე, რა მიშა აგიტყდა, ამხელა გოგო ხარ, არ გრცხვენია?! იმას რა პრიჩოსკა აქ... ოქრო, სახლში პატრონი არ გყავს? ვინ გამოგიშვა სახლიდან?"

http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29698/.htm

### პირველი, 24 მარტი

**ასავალ-დასავალი:** "მარგველაშვილი სუსტი სქესის მიმართ გულგრილი ნამდვილად არ არის".

http://pia.ge/show_news.php?id=8572&lang=geo

## დისკუსია ილიას უნივერსიტეტში



26 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დისკუსია, თემაზე "ქართულ პოლიტიკასა და მედიაში ქსენოფობიასთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლა".

მედიის განვითარების ფონდის, MDF და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის, GDI წარმომადგენლებმა თამარ კინწურაშვილმა და გიორგი მშვენიერაძემ სტუდენტებს კამპანია "არა ფობიის" ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები გააცნეს, თამარ ხორბალაძემ წარმოადგინა MDF-ის მიერ 2013 წელს ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები და ძირითადი ტენდენციები.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია. სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება ეფექტურად წარიმართოს კამპანია "არა ფობიას".



ღონისძიება საქართველოს გაეროს ასოციაციის და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში" პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

## დისკუსია "მრავალფეროვნების სკოლაში"



29 მარტს მრავალფეროვნების სკოლის სტუდენტები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს, დავით ზურაბიშვილს შეხვდნენ. გაიმართა დისკუსია ინტეგრაციის პოლიტიკისა და ამ პროცესში განათლების პროგრამების მნიშვნელობის შესახებ.

პროექტს "მრავალფეროვნების საკვირაო სკოლა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის" მედიის განვითარების ფონდი საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს.